პრეზიდენტ
თომას ს. მონსონის მიერ



„როგორც მე შეგიყვარეთ“

რამდენიმე წლის წინ ჩემმა მეგობარმა, ლუისმა, მომიყვა თავისი ნაზი, ფაქიზად მოსაუბრე დედის შესახებ. მან გარდაცვალების შემდეგ დაუტოვა შვილებს არა მატერიალური ქონება, არამედ მაგალითის, მსხვერპლშეწირვისა და მორჩილების მემკვიდრეობა.

მას შემდეგ, რაც გამოსამშვიდობებელი სიტყვები ითქვა და სასაფლაოზე მგლოვიარე ცერემონიალი ჩატარდა, ოჯახი შეიკრიბა, რათა დედის ნივთები გაერჩიათ. ნივთებს შორის ლუისმა გასაღები და წერილი აღმოაჩინა. წერილში ეწერა: „კუთხის საძინებელში, ტუალეტის მაგიდაზე, ქვედა უჯრაში, დევს პატარა ზარდახშა. მასში ჩემი გულის განძი დევს. ზარდახშა ამ გასაღებით იხსნება“.

ყველას გაუკვირდა: რა ჰქონდა მათ დედას იმდენად ძვირფასი, რომ გასაღებით ჩაეკეტა?

ზარდახშა გამოიღეს და ფრთხილად გახსნეს გასაღებით. როცა ლუისმა და სხვებმა ზარდახშის შემადგენლობა შეამოწმეს, მათ იპოვეს ყოველი შვილის პირადი სურათი, სახელითა და დაბადების თარიღით. შემდეგ ლუისმა ამოიღო ხელით ნაკეთი ვალენტინობის ბარათი. უხეშ, ბავშვის ხელით ნაწერში მან საკუთარი ხელი ამოიცნო და წაიკითხა სიტყვები, რომლებიც მან 60 წლის წინ დაწერა: „ძვირფასო დედა, მიყვარხარ“.

ყველას გული აუჩუყდა, ხმა დაუტკბა და თვალზე ცრემლი დაადგა. დედის განძი მისი მარადიული ოჯახი იყო. მისი ძალა კი იდგა ურყევ „მიყვარხარ“ საძირკველზე.

დღეს არსად არ არის ეს ურყევი საძირკველი იმდენად საჭირო, როგორც ოჯახში. და სხვაგან არსად არ უნდა იპოვოს სამყარომ ამ საძირკველის მაგალითზე უკეთესი, თუ არა უკანასკნელ დღეთა წმინდანთა ოჯახებში, სადაც სიყვარული მათი ოჯახური ცხოვრების შუა გულია.

ყოველ ჩვენგანს, ვინც აღიარებს რომ არის მხსნელი იესო ქრისტეს მოწაფე, მან ასეთი რჩევა-დარიგება მოგვცა:

„ახალ მცნებას გაძლევთ თქვენ: გიყვარდეთ ერთმანეთი. როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ თქვენც ისე გიყვარდეთ ერთმანეთი“.

„ჩემი მოწაფეები რომ ხართ, ამით გაიგებენ ყველანი, თუ ერთმანეთის სიყვარული გექნებათ“ (იოანე 13:35).

იმისთვის, რომ დავიცვათ მცნება - გიყვარდეთ ერთმანეთი, ჩვენ უნდა პატივისცემითა და თანაგრძნობით მოვეპყროთ ერთმანეთს და ყოველდღიურ ურთიერთობაში გამოვხატოთ სიყვარული. სიყვარული არის კარგი სიტყვა, მოთმინებით აღსავსე პასუხი, თავდადებული ქმედება, მოსმენის უნარი და ყოვლის მიმტევებელი გული. ყველა ჩვენს ურთიერთობებში მსგავსი ქმედებები

გვეხმარება გამოვააშკარაოთ სიყვარული ჩვენს გულებში.

პრეზიდენტმა გორდონ ბ. ჰინკლიმ (1910–2008) აღნიშნა, რომ „სიყვარული . . . ცისარტყელის ბოლოში დამალული განძია. და მაინც, იგი ცისარტყელის ბოლოში დამალულ განძზე მეტია. სიყვარული ასევე დასაწყისშია და იქიდან ვრცელდება სილამაზე, რომელიც თაღივით არტყია ცას წვიმიან დღეს. სიყვარული არის ის, რის მისაღებადაც ბავშვები ტირიან, რისკენაც აზალგაზრდები მიისწრაფიან, წებო, რომელიც ქორწინებას იჭერს და საპოხი, რომლის გამოც ოჯახში ხახუნი არ ჩნდება; იგი სიბერის სიმშვიდეა და სიკვდილში მანათობელი მზის შუქი. რაოდენ მდიდარნი არიან ისინი, ვინც ტკბებიან სიყვარულით ოჯახში, მეგობრებთან, ეკლესიაში და მოყვასთან“.[2]

სიყვარული სახარების არსია, ადამიანის სულის ყველაზე კეთილშობილი თვისება. სიყვარული არის შერყეული ოჯახების, მძიმე ურთიერთობებისა და ავადმყოფი ერების წამალი. სიყვარული ღიმილი, ხელის ქნევა, კეთილი სიტყვა და კომპლიმენტია. სიყვარული მსხვერპლი, მსახურება და თავგანწირვაა.

ქმრებო, გიყვარდეთ თქვენი ცოლები. მოექეცით მათ მადლიერებით და კეთილშობილურად. დებო, გიყვარდეთ თქვენი მეუღლეები. მოექეცით მათ პატივისცემითა და წახალისებით.

მშობლებო, გიყვარდეთ თქვენი შვილები. ილოცეთ მათთვის, ასწავლეთ მათ და გაუზიარეთ თქვენი დამოწმება. შვილებო, გიყვარდეთ თქვენი მშობლები. გამოხატეთ მათ მიმართ პატივისცემა, მადლიერება და მორჩილება.

ქრისტეს წმინდა სიყვარულის გარეშე, მორმონის თქმით, ჩვენ არაფერნი ვართ“.[3] მე ვლოცულობ იმაზედ, რომ ყური დავუგდოთ მორმონის რჩევას და “ვილოცოთ მამის მიმართ გულის მთელი ენერგიით, რათა აღვივსოთ მისი სიყვარულით, რომელიც მან გადმოღვარა მათზე, ვინც არიან მისი ძის, იესო ქრისტეს, ჭეშმარიტი მიმდევრები; რათა გავხდეთ ღვთის ძენი; რამეთუ როცა გამოჩნდება იგი, ჩვენ მისი მსგავსნი ვიყოთ”.[4]

შენიშვნები

1. იოანე 13:34–35.
2. გორდონ ბ. ჰინკლი, “And the Greatest of These Is Love,” *Ensign,* 1984 წ. 3 მარტი.
3. მორონი 7:46; იხ. ასევე მუხლი 44.
4. მორონი 7:48.

ამ მოწოდების სწავლება

პრეზიდენტი მონსონი გვასწავლის ქრისტეს მსგავსი სიყვარულის გამომჟღავნების მნიშვნელობას, განსაკუთრებით ოჯახში. სთხოვეთ მათ, ვისთანაც სტუმრობთ, შეიკრიბონ ერთად, როგორც ოჯახი და განიხილონ ერთმანეთის მიმართ მეტი სიყვარულის გამოხატვის გზები. შეგიძლიათ შეაგულიანოთ ისინი, აირჩიონ ამ იდეებიდან ერთ-ერთი და დაგეგმონ მისი განხორციელება ოჯახთან ერთად. მაგალითად, ოჯახის წევრებს სურთ, ყოველ კვირას ფარულად ემსახურონ რომელიმე ოჯახს. შეგიძლიათ სთხოვოთ, რომ მოგვიანებით გაიაზრონ ის, თუ როგორ გაიზარდა მათ ოჯახში სიყვარული ამ მიზნის განხორციელებისას.

ახალგაზრდები

მშვიდობისთვის ლოცვა

სარა ტ.-ს მიერ

ჩემი მშობლები ხშირად ესწრებოდნენ შეხვედრებს საეკლესიო მსახურების შემდეგ, მე კი ჩემს სამ ძმასთან ვრჩებოდი და სამხარის მომზადებაში ვეხმარებოდი, თუმცა ისინი ხშირად მოუთმენლები და მშივრები იყვნენ. როცორც წესი, თუ ისინი ჩხუბს იწყებდნენ, მე პატარა პრობლემას უცებ ვაგვარებდი. მაგრამ ზოგჯერ ძნელი იყო მათი დაშოშმინება მას შემდეგ, რაც ისინი ჩხუბს იწყებდნენ, რადგან მე უკვე აღელვებული ვიყავი.

ერთხელ შუადღეს, ჩემი ძმები განსაკუთრებით ჭირვეულობდნენ და ვერ პოულობდნენ საერთო ენას. მე შევნიშნე, რომ ჩემს მათი დაშოშმინების მცდელობებს უარესი შედეგი მოჰქონდა, რადგან გულდაწყვეტილი ვიყავი. ასე რომ, მე ჩემთვის მოვამზადე სამხარი და გავჩუმდი. ბოლოს კი გამოვაცხადე: „ახლა უნდა ვილოცო. შეიძლება ერთი წუთი გავჩუმდეთ“? როცა ისინი დამშვიდდნენ, მე საჭმელი დავლოცე. ლოცვის დასრულებამდე დავაყოლე: „გთხოვ, დაგვეხმარე, ვიყოთ შემრიგებელნი“.

თავიდან მათ ეს თითქოს ვერ გაიგეს და ისევ დაიწყეს ჩხუბი. მე ეს უკვე მომბეზრდა, მაგრამ ვიცოდი, რომ უნდა ვყოფილიყავი მაქსიმალურად მოსიყვარულე და მშვიდი, რადგან ამ წუთას სიმშვიდისთვის ვილოცე. ერთ წუთში ძალიან მშვიდად ვიგრძენი თავი. ისე ვჭამე, რომ ხმა არ ამომიღია და ბიჭებმაც

შეწყვიტეს კამათი. მე მივხვდი, რომ ის სიმშვიდე, რომელიც ვიგრძენი, ჩემი უბრალო ლოცვის პასუხი იყო. მე ვილოცე იმისთვის, რომ შემრიგებელი ვიყო და მამაზეციერი დამეხმარა მშვიდად ვყოფილიყავი მაშინ, როცა ისე ადვილი იყო, მეყვირა. მე ვიცი, რომ მას ჭეშმარიტად შეუძლია სიმშვიდე გვიბოძოს.

ავტორი ცხოვრობს არიზონაში, აშშ.

© 2017 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *First Presidency Message, February 2017.* Georgian. 97922 131

ბავშვები

ჭეშმარიტი განძი

ვრეზიდენტი მონსონი გვიყვება ამბავს დედაზე, რომელსაც ჰქონდა სპეციალური ზარდახშა. როცა მისმა შვილებმა გახსნეს ზარდახშა, იქ საკუთარი სურათები აღმოაჩინეს. დედის განძი მისი ოჯახი იყო.

ჭეშმარიტი განძი არა ოქრო და სამკაულებია, არამედ ადამიანები, რომლებიც გიყვარს. თქვენ ვინ გიყვართ? დახატეთ ზარდახშა იმ ადამიანების სურათებით ან მათი სახელებით .

ქრისტეს გამოსყიდვა ღმერთის სიყვარულის მტკიცებულებაა

ლოცვის განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს.

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

Იმის წვდომა, რომ მამაზეციერმა შეწირა მხოლოდშობილი ძე, რათა ვიქონიოთ უკვდავება და მარადიული ცხოვრების პოტენციალი, გვეხმარება ვიგრძნოთ ღმერთის უსასრულობა და მისი უსაზღვრო სიყვარული. ჩვენ მხსნელსაც ვუყვარვართ.

„ვინ ჩამოგვაშორებს ქრისტეს სიყვარულს?. . . .

„და მწამს, რომ ვერც სიკვდილი და ვერც სიცოცხლე, ვერც ანგელოზები და ვერც მთავრობანი, ვერც ძალნი, ვერც აწმყო, ვერც მყოფადი,

ვერც სიმაღლე, და ვერც სიღრმე, ვერც ვერავითარი სხვა ქმნილება ვერ შეძლებს ჩვენს ჩამოშორებას ღვთის სიყვარულისგან ჩვენს უფალ ქრისტე იესოში“ (რომაელთა 8:35, 38-39).

უხუცესმა დ. ტოდ კრისტოფერსონმა თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან ასე თქვა ქრისტეს გამოსყიდვის შესახებ: „მხსნელის ტანჯვა გეთსიმანიის ბაღში და მისი აგონია ჯვარზე გვიხსნის ცოდვისგან, აკმაყოფილებს რა სამართალის მოთხოვნებს, რომლებიცაა ჩვენზედ. იგი პატიობს და წყალობს მათ, ვინც ინანიებენ. იესო ქრისტეს გამოსყიდვა ასევე აკმაყოფილებს სამართალის ვალდებულებებს, რამეთუ გვკურნავს და გვინაზღაურებს ტანჯვას, რომელსაც უდანაშაულოდ ბოლომდე ვუძლებთ. ‘რამეთუ აჰა, იგი იტანჯება ყოველი ადამიანის ტკივილით, დიახ, ყოველი ცოცხალი არსების ტკივილით - კაცის, ქალის, ბავშვის, ვინც ეკუთვნის ადამის ოჯახს’ (2 ნეფი 9:21; იხ. ასევე ალმა 7:11-12).“[1]

ქრისტემ ამოგვტვიფრა თავის ხელის გულებზე“ (ესაია 49:16). მოწყალების საზოგადოების გენერალურმა პრეზიდენტმა, ლინდაკ. ბერტონმა, თქვა: „ყოველმა ჩვენგანმა უნდა გაუგზავნოს მამაზეციერს სიყვარულის უზენაესი სიყვარული ქმედება, რომლის გამოც მუხლმოდრეკილნი მადლობას ვუხდით მამაზეციერს იმისთვის, რომ მან გამოაგზავნა თავისი სრულყოფილი მხოლოდშობილი ძე, რათა წამებულიყო ჩვენი ცოდვებისათვის, გულისტკივილისა და ყოველივე იმის გამო, რაც ცხოვრებაში უსამართლოდ გვეჩვენება“.[2]

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან და ინფორმაცია

იოანე 3:16; 2 ნეფი 2:6–7, 9; *reliefsociety.lds.org*

შენიშვნები

1. დ. ტოდ კრისტოფერსონი,“Redemption,” *ლიაჰონა* მაისი 2013, 110.
2. ლინდა კ. ბერტონი “Is Faith in the Atonement of Jesus Christ Written in Our Hearts?” *Liahona,* ნოემბერი 2012, 114.

განიხილეთ შემდეგი

როგორ შეიძლება გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება და სიყვარული ღმერთისა და იესო ქრისტეს მიმართ ჩვენი მხსნელის გამოსყიდვის ძღვენისთვის?

© 2017 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *Visiting Teaching Message, February 2017.* Georgian. 97922 131